

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N11

ქ. ლანჩხუთი

7 ივნისი, 2011 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა რევაზ ჩიტიძე — მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელების“ თავმჯდომარე მარინე თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გოგუაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი ეთერ ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ლია იმნაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მაია აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მთ. სპეციალისტი ვახტანგ შალიკაშვილი, ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი სოსო ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის N41 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის, არქიტექტურისა და საპროექტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში,

ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

6. მეწყრით, ხანძრითა და სხვა სახის სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში ცვლილებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 27 მაისის N455 წერილის საკრებულოს კომისიებში დასკვნის წარმოდგენისათვის გადაგზავნის შესახებ

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის (გერბის და დროშის) შესარჩევი კონკურსის ძირითადი პირობების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტძემ/

8. სხვადასხვა

ბიუროს წევრების მიერ დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღთან დაკავშირებით ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება: **საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების თარიღად განისაზღვროს მ/წ 17 ივნისი**

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N50 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ 2011 წლის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის N201 განკარგულებით სოფლის პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხა 685466 ლარი შეტანილი იყო ბიუჯეტში ერთ ორგანიზაციულ კოდში. პროექტების შედგენის დასრულების გათვალისწინებით გადანაწილდა სოფლის პროგრამის თანხა ღონისძიებების მიხედვით. კერძოდ, გზების რეაბილიტაციაზე 62451 ლარი, ხიდების რეაბილიტაციაზე 18476 ლარი, საწრეტი კოლექტორების მოწყობაზე 23512 ლარი, ნაპირსამაგრის რეაბილიტაციაზე 7476, შემოდობაზე 143139 ლარი, წყალსადენის რეაბილიტაციაზე 141266

ლარი, გარე განათების რეაბილიტაციაზე 8363 ლარი, სპორტული მოედნების რეაბილიტაციაზე 51658 ლარი, კულტურის სახლების რეაბილიტაციაზე 36980 ლარი, სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციაზე 65651 ლარი, კეთილმოწყობის სამუშაოებზე 87895 ლარი, მოსაცდელის რეაბილიტაციაზე 31362 ლარი, ბიბლიოთეკის რეაბილიტაციაზე 4885 ლარი, ამბულატორიის რეაბილიტაციაზე 2352 ლარი.

საგანგებო სიტუაციების შტაბის უფროსის ქვეყნის გარეთ მივლინების აუცილებლობიდან გამომდინარე, აუცილებელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მივლინების ხარჯები გაიზარდოს 6000 ლარით. მ/წ გაწეული ხარჯების ანალიზის შედეგად მიზანშეწონილია შემცირდეს ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალურ შენობა-ნაგებობებში დახარჯული წყლის გადასახადი (ოფისის ხარჯი) 6000 ლარით და აღნიშნული თანხა მიიმართოს ადმინისტრაციული სამსახურის მივლინების ხარჯებში. ასევე მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა გაიზარდოს ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები სულ 11830 ლარით, მათ შორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2700 ლარით, მუნიციპალიტეტის გამგეობის 7240 ლარით, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის 1390 ლარით და სახანძრო დაცვის სამსახურის 500 ლარით. მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა სამუშაო პირობების შექმნის აუცილებლობიდან გამომდინარე გათვალისწინებულია არაფინანსური აქტივების მუხლში გამაგრებელი საშუალებების შექმნა-დამონტაჟებისათვის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის 4070 ლარი, ადმინისტრაციული სამსახურისათვის 2120 ლარი, ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის და არქიტექტურის სამსახურისათვის 1590 ლარი, ზედამხედველობის სამსახურისათვის 1060 ლარი, კულტურის, განათლების, ძველთა დაცვის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისათვის 530 ლარი, შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურისათვის 530 ლარი, საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურისათვის 530 ლარი, საფინანსო სამსახურისათვის 1060 ლარი, იურიდიული სამსახურისათვის 530 ლარი, სულ 12020 ლარი.

ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილება უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული სამსახურის არაფინანსური აქტივების მუხლში 9000 ლარის გადანაწილებით, საფინანსო სამსახურის 1200 ლარის შემცირებით და ადმინისტრაციული შენობის რემონტისათვის 13650 ლარის შემცირებით. სულ 23850 ლარი მიიმართა გამაგრებელი საშუალებების შესყიდვა-

დამონტაჟებისათვის და სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯების დასაფინანსებლად.

მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო კომპენსაციის გაცემის მიზნით 1860 ლარით შემცირდეს სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის ხელფასის ფონდი დედა გაიზარდოს ამავე სამსახურის სოცურუნველყოფის მუხლის ხარჯი.

ადმინისტრაციული სამსახურის ოფისის ხარჯში გათავლისწინებული იყო 4500 ლარი, რადგან მუნიციპალიტეტის გერბის მაკეტის დასამზადებლად ცხადდება კონკურსი და გამარჯვებულზე გაიცემა ჯილდო 2000 ლარის ოდენობით, მიზანშეწონილია შემცირდეს ადმინისტრაციული სამსახურის ოფისის მუხლი 2000 ლარით და გაიზარდოს სოციალურ კულტურული ღონისძიებების სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის ხარჯი 2000 ლარით.

ბიუროს წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია (პ. ფირცხალაიშვილი).

2) დადგენილების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიებს, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

3) დადგენილების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას მ/ წ 7 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის N41 განკარგულებაში ცვლილებებისა

და დამატებების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მაია აფხაზავამ. მან აღნიშნა, რომ შესყიდვების გეგმის ცვლილების პროექტში ასახულია ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმაში განხორციელებული ცვლილებები. კერძოდ: 11810 ლარით გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების, ტექნიკური მომსახურების და მასთან დაკავშირებული მომსახურებების სავარაუდო ღირებულება. ჰაერის საკონდენსაციო მოწყობილობების შესყიდვის მიზნით 3020 ლარით გაიზარდა საოჯახო ტექნიკის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება. 6000 ლარით შემცირდა ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება და გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების ნაწილების სავარაუდო ღირებულება, რომლითაც შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველისათვის შესყიდული იქნება ავტომანქანის ძრავი. 2000 ლარით შემცირდა მხატვრის მომსახურების სავარაუდო ღირებულება, რითაც გაიზარდა საჩუქრებისა და ჯილდოების სავარაუდო ღირებულება. 13650 ლარით შემცირდა სარემონტო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება.

შესყიდვების გეგმაში „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის“ შესაბამისად ასახული იქნა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №201 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 685466 ლარი (დანართი №1) და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 აპრილის №735 (დანართი №2) განკარგულებით გამოყოფილი 500000 ლარი.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია (პ. ფირცხალაიშვილი).

2) განკარგულების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიებს, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

3) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას მ/ წ 7 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალუ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მაია აფხაზავა

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის, არქიტექტურისა და საპროექტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსულია მოთხოვნა N311/07–01 (2011 წლის 17 მაისი) , რომლის თანახმად უნდა შევიდეს დადგენილების პირველ პუნქტში ცვლილება და შესწორდეს სამსახურის დასახელება.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო–საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (ი. გავრჯალაძე)

2) განკარგულების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს სამანდატო–საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას, ფრაქციებს –„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

3) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას მ/ წ 7 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გავრჯალაძე.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსულია მოთხოვნა N311/07-01 (2011 წლის 17 მაისი) , რომლის თანახმად უნდა შევიდეს დადგენილების პირველ პუნქტში ცვლილება და შესწორდეს სამსახურის დასახელება.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (ი. გავრჯალაძე)

2) განკარგულების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას, ფრაქციებს –„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

3) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას მ/ წ 7 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გავრჯალაძე.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით საკუთრებაში გადმოეცა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით სოფ. ქვიანში, სოფ. ნიგოთსა და სოფ. გვიმბალაურში. ზემოთ აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზება გაზრდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებს.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია (გ.ორაგველიძე)

2) განკარგულების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიას, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

3) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას მ/წ 7 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ქავზინაძე.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მეწყრით, ხანძრითა და სხვა სახის სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში ცვლილებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 27 მაისის N455 წერილის საკრებულოს კომისიებში დასკვნის წარმოდგენისათვის გადაგზავნის შესახებ სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2011 წლის თებერვლისა და აპრილის თვეში სტიქიის შედეგად დაზარალდა 78 ოჯახი, ზარალმა შეადგინა 40 000 ათასი ლარი. ასევე

დაზიანდა ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობები. მანვე აღნიშნა, რომ გამგეობის მიერ შემუშავებულ „მეწყერით, ხანძრითა და სხვა სახის სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში არ არის გათვალისწინებული საშენი მასალით დახმარება, რის გამოც მიზანშეწონილი იქნება შევიდეს ცვლილება პროგრამაში და მისი დაფინანსება გაიზარდოს 40 000 ლარით. გამგეობის წერილს თან ახლავს ტერიტორიული ერთეულების მიხედვით დაზარალებულთა რეესტრი.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/წ 27 მაისის N45 განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია (გ. ჯანაშია)

2) წერილი განხილვისათვის გადაეგზავნოს სოციალურ საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკურ საკითხთა კომისიას და ინფრასტრუქტურის კომისიას და ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის (გერბის და დროშის) შესარჩევი კონკურსის ძირითადი პირობების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის ესკიზის (გერბი, დროშა) შესარჩევი კონკურსის ჩატარების მიზნით შექმნილმა კომისიამ (თავმჯდომარე ზ. აფხაზავა) 2011 წლის 6 ივნისს ჩაატარა პირველი სხდომა. სხდომამ შეიმუშავა საკრებულოს განკარგულების პროექტი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის (გერბი, დროშა) შესარჩევი კონკურსის ძირითადი პირობების დადგენის შესახებ და დაადგინა სიმბოლიკის შესარჩევი კონკურსის ძირითადი პირობები. პირობებში აღნიშნულია, რომ კონკურსის მომწყობია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო. სიმბოლიკის პროექტები შექმნილი უნდა იყოს ჰერალდიკის კანონის გათვალისწინებით და უნდა ეყრდნობოდეს ჰერალდიკური მემკვიდრეობის, ტერიტორიის ისტორიული მემკვიდრეობის, ტერიტორიის გეოგრაფიული მდგომარეობის პრინციპებს. გერბისა და დროშის პროექტების შესრულება დასაშვებია ნებისმიერი სახვითი საშუალებებითა და კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით.

კონკურსი გამოცხადდება 2011 წლის 1 ივლისიდან, საკონკურსო პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2011 წლის 10 აგვისტო, შედეგები გამოცხადდება 2011 წლის 10 სექტემბერს.

კონკურსში გამარჯვებულისათვის დაწესებულია პრემია 2500 (ორიათას ხუთასი) ლარი.

გამარჯვებული პროექტები გადადის კონკურსის ორგანიზატორების საკუთრებაში, საავტორო უფლებების შესახებ მომქმედი კავნომდებლობის დაცვით.

განკარგულების პროექტის მიმართ ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (ი. გავრჯალაძე)

2) განკარგულების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას, ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას, სოციალურ საკითხთა კომისიას, ინფრასტრუქტურის კომისიას, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

3) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას მ/წ 7 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ქავზინაძე.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

სხავადასხვა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფარქცია „ლანჩხუთელების“ თავმჯდომარე მარინე თურნავამ დააყენა საკითხი საკრებულოში კომპიუტერული ქსელის ინტერნეტით მომსახურების თაობაზე

საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტძემ განმარტა, რომ ნორვეგიულ კომპანიასთან ერთად შემუშავებულია ადმინისტრაციული შენობის ინტერნეტ-ქსელით უზრუნველყოფის ერთიანი პროგრამა, რომელიც უნდა დაფინანსდეს ზემოთ აღნიშნული კომპანიის მიერ. საკითხი გადაწყდება უახლოეს პერიოდში.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) თანამომხსენებლად განისაზღვროს სამართლებრივი აქტების პროექტებზე განხილვისათვის განსაზღვრული ძირითადი კომისიის თავმჯდომარეები

2) დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს (ნინო ძიძიგური) საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების შესაბამის კომისიებსა და ფრაქციებში დაგზავნის დადგენილი წესით გამოქვეყნების ორგანიზაციული უზრუნველყოფა

3) საკრებულოს კომისიებმა და ფრაქციებმა უზრუნველყოს პროექტების განხილვა და დასკვნების წარმოდგენა 2011 წლის 14 ივნისამდე

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

რევაზ ჩიტძე

საკრებულოს აპარატის უფროსი:

/ნ. ძიძიგური/

თანაშემწე:

/დ. დოლიძე/

შემსრულებელი:

საკრებულოს მთ.სპეციალისტი საოქმო

და საორგანიზაციო საკითხებში

/მ. კეკელიძე/

